



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
**ACADEMY OF AGRICULTURAL
SCIENCE OF GEORGIA**

სახორცე ჯიშური ჯგუფის ბამოყვანის მეთოდობა

(რეკომენდაციები)



თბილისი - 2015

რეკომენდაციები დამუშავდა საქართველოს ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტში 2005 - 2009 წლებში, მაგრამ მისი გამოცემა რიგი ობიექტური მიზეზების გამო დღემდე ვერ განხორციელდა.

ნაშრომი განკუთვნილია იმ ფერმერებისა და ფერმერული მეურნეობებისათვის, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. იგი აგრეთვე დააინტერესებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს და მეცხოველეობის მიმართულების მაგისტრებს და დოქტორანტებს.

აღნიშნული ნაშრომი განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ და მიეცა რეკომენდაცია დასაბეჭდად.

ავტორები: ჯემალ ბუბუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეურნეობის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სერბო ლომიძე - დოქტორი; თამაზ ელიშვიტაშვილი - ზოოტექნიკოსი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაძიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სახორცე ჯიშური ჯგუფის გამოყვანის მეთოდика

ჯიშების, ჯიშური ჯგუფების შექმნის ძირითად მეთოდებად ზოოტექნიკაში გვევლინება შთანთქმითი და საახალჯიშო (აღწარმოებითი) შეჯვარება, ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების კულტურული ჯიშების 90% მიღებულია ჯიშთაშორის შეჯვარების გზით.

ახალი ჯიშური ჯგუფის შექმნის მიზნით 1984-1992 წლებში კუმისის მებოცვრეობის კომპლექსში გამოყენებული იქნა ჯიშწარმომქნელი, ანუ საახალჯიშო შეჯვარება. დასახული იქნა ამოცანა შეჯვარების მეთოდით შეგვექმნა ახალი ჯიშური ჯგუფი, რომელიც თავისში შეახამებდა საწყის ჯიშების (ახალზელანდიური, საბჭოური შინშილა) ძვირფას თვისებებს, აგრეთვე სრულიად ახალ თვისებებს, რომელიც არც ერთ საწყის ჯიშს არ აღენიშნება. ამოცანად დავისახეთ ისეთი ხარისხის პროდუქცია (ხორცი-ტყავ-ბეწვეული), რომელიც არ შეიძლება იქნას მიღებული საწყისი ფორმის ჯიშებისაგან.

აღნიშნულ სამუშაოებს წინ უძღოდა ჩვენს მიერ 1982-1984 წლებში ჩატარებული საორიენტაციო შეჯვარება, სადაც შესწავლილი იქნა საწყისი სახორცე ახალზელანდიური, სახორცე-ტყავ-ბეწვეული საბჭოური შინშილას ჯიშების და ნაჯვარი შთამომავლობის ცხოველთა პროდუქტიულობა, მათი ინდივიდუალური თავისებურებანი.

შემუშავებული იქნა ახალი სახორცე ჯიშური ჯგუფის სასურველი იდეალი/იდეალის ქვეშ იგულისხმება ბოცვერთა გარეგნული შესახედაობა, ექსტერიერი, პროდუქტიულობა, მათი პარამეტრები მოსალოდნელი ჯიშური ჯგუფის კონსოლიდაციის და დასრულების მომენტისათვის შემდეგი მონაცემების მიხედვით.

**ბოცვერის გრანულირებული საკვების კვების ნორმები
(ერთ სულზე)**

ცხრილი 1

№	ცხოველთა სქესობრივ- ასაკობრივი ჯგუფები	საკვები ერთეული, გ	მონელებადი პროტეინი, გ
1.	დედალი და მამალი ბოცვერი მოსვენების პერიოდში	145	20
2.	დედალი და მამალი დაგრილების პერიოდში	180	26
3.	მაკე ბოცვერი	220	31
4.	ბოცვერი ლაქტაციის პერიოდში:		
	1-დან 10 დღის ჩათვლით	290	48
	4-დან 20 დღის ჩათვლით	400	66
	21-დან 30 დღის ჩათვლით	510	87
	31-დან 45 დღის ჩათვლით	640	109
5.	მოზარდი:		
	45-დან 90 დღის	70-125	12-21
	61-დან 90 დღის	125-170	21-28
	91-დან 135 დღის	170-225	28-37
	სარემონტო მოზარდი	200-220	28-35

ბოცვრის გრანულირებული საკვების რეცეპტი

ცხრილი 2

კომპონენტები	მოზარდი ბოცვერისათვის კომბინირებული საკვები	ზრდასრული ბოცვერისათვის მოსვენებულ, დაგრი- ლებულ და ლაქტაციის პერიოდში
ბალახის ფქვილი	30,0	40,0
შვრია	19,0	19,0
ქერი	19,0	18,0
თივა	15,0	10,0
შროტი(მზესუმზირა)	13,0	9,0
თევზის ფქვილი	-	
თევზის ფქვილი /ცილები 60-70/	2,0	2,0
დროჟი	1,0	1,0
საკვები მარილი	0,5	0,5
ძვლის ფქვილი	0,5	0,5
100გ გრანულირებული კომბისაკვები შეიცავს:		
საკვები ერთეული (გ)	83,6	86,0
ნედლი პროტეინი (გ)	18,4	17,7
ნ/პროტეინი	14,1	13,9
ნედლი უჯრედანა (გ)	11,5	12,4
კალციუმი (გ)	1,0	0,8
ფოსფორი (გ)	0,6	0,5
კაროტინი (მგ)	3,1	4,1

სასურველი სახორცე ჯიშური ჯგუფის იდეალი
ცხრილი 3

№	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	1	2	ბიოლოგიური თავისებურებანი
1.	ცოცხალი მასა (კგ)	3,1	3,0	შეგუებულობა საქართველოს ბუნებრივ- კლიმატურ პირობებთან და კომპლექსებში შენახვის პირობებთან
2.	სხეულის სიგრძე (სმ)	56	54	
3.	გულმკერდის ირგვლივა (სმ)	38	36	
4.	ნაყოფიერება (სული)	8	8	ბეწვის შეფერილობა - შავი
5.	ნაკლავის გამოსავალი (%)	56	55	

გავრცელების ზონა – გარდაბნის, თელავის, თეთრი წყაროს, ზესტაფონის და ხელვაჩაურის რაიონები.

საწყისი ჯიშების პროდუქტიულობა

ცხრილი 4

№	მაჩვენებლები	საბჭოთა შინშილა		ახალზელანდიური თეთრი	
		1	2	1	2
1.	ცოცხალი მასა,	2600	2550	2800	2700
2.	გ	55	54	56	55
3.	სხეულის სიგრძე, სმ	35	34	36	35,5
4.	გულმკერდის	-	7	-	7,5
5.	ირგვლივ, სმ ნაყოფიერება ნაკლავის გამოსავალი, %	53	52	53	52

\

ახალი სახორცე ჯიშური ჯგუფის გამოყვანის სამუშაო პროგრამა დაყოფილი იქნა სამ ეტაპად:

I ეტაპი - 1984-1985 წწ. სახორცე მიმართულების ახალზელანდიური თეთრი ჯიშის ბოცვრის მამლების სახორცე-ტყავ-ბეწვეული საბჭოური შინშილას დედლებთან შეჯვარება; გამდიდრებული და შერყეული მემკვიდრეობის, გარემო პირობებისადმი შესუსტებული არჩევითობის მქონე პირველი, მეორე და მესამე თაობების მიღება, გადარჩევა-შერჩევა სასურველი ტიპის ნიშან-თვისებების მონაცემების მიხედვით.

II ეტაპი - 1987-1989 წწ. წყარო გენეტიკური კომბინაციის მიღებისა და ცხოველთა კონსოლიდაციის მიზნით ჰომოგენური შერჩევა, ზომიერი ინბრიდინგი.

III ეტაპი – 1990-1992 წწ. ახალი სახორცე ჯიშური ჯგუფის მასივის შექმნისათვის მიღებული გენეტიკური კომბინაციების „თავისში“ მოშენება.

ზემოთ აღნიშნული ყველა ეტაპზე მიღებული თაობები მემკვიდრეობის განმტკიცების, სანაშენე და საპროდუქციო თვისებების ღირებულების ამაღლების მიზნით, ჩაუტარდათ ჯგუფური და ინდივიდუალური გადარჩევა და შერჩევა, პარალელურად წარმოებდა საპატენტე მამლების და საუკეთესო ინდივიდების დედლების შერჩევა. ამოწუნებული იქნა ყველა ცხოველი, რომელიც არ პასუხობდა სახორცე ჯიშური ჯგუფის ტიპის მოთხოვნებს.

არსებული ბონიტირების ინსტრუქციის საფუძველზე წარმოებდა ცხოველების შეფასება და კლასების განსაზღვრა კომპლექსური ნიშნების მიხედვით: ცოცხალი მასით, ნაყოფიერებით, ტანაგებულობით, ტყავ-ბეწვეული პროდუქციით, ბეწვის შეფერვით და სახორცე პროდუქციულობით. დადგენილი იქნა საკვების ანაზღაურების მემკვიდრული მონაცემები. საბონიტრო სტანდარტად მიჩნეული იქნა სასურველი ტიპის მოთხოვნილებები. ცხოველების გამოზრდა მიმდინარეობდა დახურულ სამრეწველო კომპლექსში. საბოცრვეში მიკროკლიმატი შეადგენდა: ტემპერატურა 18-20⁰, ტენიანობა 70-75%, ჰაერის მოძრაობის სისწრაფე 0,2-0,3 მ/წმ.

ცხოველების კვება წარმოებდა მემხეცეობა-მებოცვრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილი ნორმის და რაციონის მიხედვით. საკვების სრულფასოვნება პერიოდულად მოწმდებოდა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოანალიზის განყოფილებასა და ამავე ინსტიტუტის ს.ს. ცხოველთა კვების კათედრაზე. ამასთანავე სახორცე ჯიშური ჯგუფის კვებისათვის გამოყენებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების კათედრაზე აკად. აპოლონ კოზმანაშვილის ხელმძღვანელობით დამზადებული სპეციალური კომბინირებული საკვები.

საცდელი და საკონტროლო ჯგუფები შერჩეული იქნა ანალოგების პრინციპით, ცოცხალი მასის, ფენოტიპის,

ჯანმრთელობის და სხვა მაჩვენებლებით. თითოეულ ჯგუფში 30 დედალი 6 მამალი, შესწავლილი იქნა:

1. დედლის აღწარმოებითი მაჩვენებლები;

ა/. განყოფილება - %

ბ/. ნაყოფიერება – მოგების დროს მიღებული ბაჭიების რაოდენობით.

გ/. შენარჩუნება – ასხლეტის პერიოდში /45 დღე/ ბაჭიების რაოდენობით.

2. ცოცხალი მასის ზრდის დინამიკა – ცოცხალი მასის ზრდის კანონზომიერების დასადგენად ჩატარდა საკონტროლო აწონვები, დაბადებისას, 20 და 45 დღეზე ბუდით, ხოლო 90-120 დღის ასაკში ინდივიდუალურად 0,1 კგ. სიზუსტით. შესწავლილი იქნა საშუალო სადღეღამისო და აბსოლუტური წონამატი “ბროდის” ფორმულით.

3. თანაგებულების განაზომები – გაბიტუსის შესასწავლად აღებული იქნა შემდეგი განაზომები: სხეულის სიგრძე, გულკერდის ირგვლივ სმ-ში. დადგინდა სიმკვრივის ინდექსი 90-120 დღის ასაკში.


4. სახორცე პროდუქტიულობა – ტანხორცის მასა, ნაკლავის (მეხორცულობის ინდექსი) გამოსავალი 90-120 დღე.

5. ტყავ-ბეწვეულის ხარისხი - ფართობი (სმ²) 90-120 დღის ასაკში არსებული ნორმების გამოყენებით (ГОСТ-ОТ 62-887).

6. ზოგიერთი ბიოლოგიური - (პულსი, ტემპერატურა) და მორფოლოგიური (სისხლი) მაჩვენებლები 120 დღის ასაკში.

7. საკვების ხარჯვა – საყუათაო ნივთიერებების დანახარჯები ერთეულ წონაზე გაანგარიშებით, ცხოველის მიერ ფაქტიურად მიღებული და დარჩენილი საკვების აღრიცხვით.

8. ეკონომიკური ეფექტიანობა – მოზარდის გამოზრდის დროს გათვალისწინებული იქნება საკვების ღირებულება, მომსახურე პერსონალის ხელფასი, ამორტიზაციის ანარიცხი, მიმდინარე რემონტის დანახარჯები, საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო დანახარჯები სულ დანახარჯები განსაზღვრული იქნება 1 კგ. ცოცხალი მასის თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობის დონე.




ფოტო 1

საბკოური შინშილა



ფოტო 2


ახალბელანდიური თეთრი



ფოტო 3

სახორცე ჯიშური ჯგუფის ბოცვერი

სახეობის შენახვის განმარტების სტრუქტურა



სტრუქტურის განმარტების სტრუქტურა